ეროვნული
ბიბლიოთეკა

F-5818

ნაკადული



საყმაწვილო ჟურნალი
მცირეწლოვანთათვის

მაისი № 10. 1917 წ.

ნაკადული

წელიწადი მე-XIII. № 10 ივნისი. 1917 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ-ის ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

243

რა კარგებია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—რა კარგებია!—სურათი 1

II—დედის პაწაწინა ვარ,—ლექსი დ. ელიოზიშვილისა 3

III—ვირით მოგზაურნი,—დ. ძეძამიძისა 5

IV—საუცხოო ვაშლი,—სარალიძისა 13

V—სუმბული,—თარგმანი დ. ყიფიანისა 19

VI—გასართობი: შარადა, ამოცანა, გამოცანები და რებუსი 23

ტფილისი, სტამბა-ლიტოგრაფია კავკასიის რკინის გზისა, 1917 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედას ჰაწაწინა ვარ

დედას ჰაწაწინა ვარ,
იმას ვენაცვალები;
გუშინ გადამეხვია,
დამიკოცნა თვალები.

იმას ძაან ვუყვარვარ,
მზე ამოსდის ჩემზედა;
მეც მის მეტი არვინ მეყავს
მთელ ამ ქვეყანაზედა.

შარშან ავად შეგიქენ,—
დედა მწარედ ტიროდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ წუთს არ მშორდებოდა,—
არსად არ მიდიოდა.

წელს დედა გახდა ავად,
მე შევშინდი ძალზედა;
სულ იმასთან ვიჯექი,
ცრემლი მადგა თვალზედა.

დედას ძაან ვუყვარვარ,
სულ ჩემზედ აქვს ფიქრები;
მოელის იმ დიად დროს,
როს დიდი შევიქნები.

კარგი კაცი გამოვალ,
ყველას გასახარადა,
და ცხოვრებას გავიკვლევ
ჩემით, თავისთავადა.

ჩემ საყვარელ ქვეყანას
თუ რომ გაუჭირდება,
ჩემი საქმის თავბოლო
მხოლოდ იგი იქნება.

დედის ჰაწაწინა ვარ,
იმას ვენაცვალები;
გუშინ გადამეხვია,
დამიკოცნა თვალები;

იმას ძაან უყვარვარ,—
მზე იმოსდის ჩემზედა;
მეც მის მეტი არვინ მყავს
მთელ ამ ქვეყანაზედა.

დ. ელიოზიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვირით მოგზაურნი

აუთავდათ თუ არა ბავშვებს გიმნაზიაში სწავ-ლა, გოგია აღარ მოეშვა თავის მამიდაშვი-ლებს,—შალიკოსა ⁄ ზურაბს,—და საზაფხულოდ თავიანთსა წაიყვანა სოფელ ხევისუბანში.

ამწვანებული მთა და მინდორი, ხუვილა ხევი, მოჩუხჩუხე, ანკარა წყაროები, ფრინველ-თა სტვენა და ჟრიამული—ბავშვების ცელქ ბუ-ნებაში გაამოხმაურებას ჭვოვებდა! ცხრა თვეს ბუნებას დაშორებულნი და კედლებ შუა მომწყვდეულნი, ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი მთლად ბუნებას ჩაჭქსოვებოდნენ და მის წიაღში აღამებდნენ დღეებს.

ტუვილად ელოდა ხოლმე ნაზირაანთ თინა თავის შვილსა და მულის-წულებს სადილად! მზის ამოსვლასთან ერთად, წამოჭეოფდნენ თუ არა ბავშვები ლოგინიდან თავებს და ჩაის დალევდნენ, შემდეგ იგი თვალს ვეღარ მოსცხებდა მათ: მთელი სოფელი, ტეე და მინდორი, ბაღები და ვენახები ფეხ ქვეშა ჭქონდათ მოდებული.

—ეს საძაგლები ერთხელ გეძრიელად სადილს არ შეირგებენ!—ჩიოდა თინა.—ამდენი სირბილითა და ცელქობით ადამიანის სახე აღარ ადევთ. რას იტუვის ჩემი მული, რომ თავისი შვილები ასეთი გამხდრები ნახოს!

ერთხელ შალვა და ზურაბი, ჩვეულების წინააღმდეგ, შინ ადრე დაბრუნდნენ.

—ძლივს არ მოხვედით სადილად თავის დროს!—უთხრა მათ კმაუოფილებით ძალომ.—გოგია რაღა იქნა?

—გოგია სხვა ბიჭებთან ერთად ხევს გაღმა ჩახრიალაზე წავიდა საბანაოდ,—მიუგო შალიკომ.

—უი, დამიდგეს თვალები! ჯერ იმ ადიდებულ ხევში გასვლა, და ახლა ჩახრიალაში ბანაობა! შაქრო, ჩქარა მოჯამაგირე გაგზავნე ჩახრიალაზე ცხენით, გოგიას მოსაუვანად: ის საძაგელი იქ არ დაიღრჩოს!—მიუბრუნდა თინა თავის ქმარს.

შაქროს ბრძანებით სატულა მოჯამაგირე საჩქაროდ ტიტველა ცხენს მოახტა და გაქუსლა ჩახრიალაზე.

ნაზირაანთ სადილი გათავებული ჭქონდათ, როდესაც სატულამ გოგია მოიუვანა. მშობლები მას გულის წყრომით შეხვდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—რამ გაფიქრებინა ჩახრიალაზე წასვლა: არ გახსოვს, რომ შარშან იქ სუთი უმაწვილი ერთად დაიღრჩო?!—მიმართა დედამ.

—განა ღრმაში შევედი, რომ დავმღრჩვალიყავი: მე და მინადორაანთ ბიჭები ნაჰირში ვბანაობდით!—თავს მართლულობდა გოგია.

—ნაჰირში ბანაობაც სახიფათოა, რადგან შეიძლება მორევმა მობანავე შიგნით შეითრიოს,—უთხრა მამამ.—ეგეც არ იყოს, მამიდაშვილები ქალაქიდან სოფელში იმიტომ გამოიპატიჟე, რომ შენ მარტო უგზო-უკვლოდ იხეტიალო და ესენი მოწყენით ამეოფო? ამას იქით აღარ გაჭბედო იქ წასვლა და არც ამათ დაანებო თავი. თუ ბანაობა გინდათ, აი ჩვენ ბაღში რომ აუზია, დღეს ბიჭს ვეტყვი, რომ ამოასუფთაოს და რეი მიუშვას. იქ რამდენიც გინდათ, იბანავეთ!

სამართალში გამტეუნებულ კაცივით გოგია თავ-ჩაღუნული ისმენდა მშობლების საუვედურს და სადილის გათავებამდის ხმა არ ამოუღია. შემდეგ ის, შალიკო და ზურაბი ბაღში შევიდნენ და აუზს დაუწყეს ამოწმენდა.

—ხომ გითხარ, ნუ წახვალ, თორემ ძია გაგიჯავრდებამეთქი; შენ კი არ გამიგონე!—უთხრა შალიკომ გოგიას.—კიდევ გაჭბედავ ჩახრიალაზე წასვლას?

—იცი. რა კარგია იქ?!—დაიწყო გოგიამ ჰასუხის მაგიერ:—ორ კლდის შუა ალვის ხის სიმაღლიდან გადმოჭქუხს ვეებერთელა ჩანჩქერი! მის დაბლა მშვენიერი საბანაო მორევია; ნაჰირში თხელია, შიგნით კი დიდი კაცებიც ვერ აწვდენენ ძირამდის ფეხს. საბანაოდაც რომ არა, მის სანახავადაცა ღირს იქ წასვლა!

—იმ სიმაღლიდან წყლის ჩხრიალი ხომ მორევს აამღვრევს, და მღვრიე წყალში როგორ ბანაობენ?—იკითხა ზურაბმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მღვრიე კი არა, ისეთი წმინდაა, რომ მის ძირზე კენჭები დაითვლება; მხოლოდ ჩანჩქერის გარშემო კარგა მანძილზე წყალი ისეა აქაფებული, თითქოს საპნის წყენი დუღსო. აი, თუ იმ ქაფს მიუახლოვდა მობანავე, შიგნით შეითრევს და, როგორიც გინდა კარგი ცურვა იცოდეს, უსათუოდ დაალრჩობს!

ამ აღწერილობით შალიკო და ზურაბი ისე დაინტერესდნენ, რომ შეეხვეწნენ გოგიას როდისმე ისინიც წაეყვანა ჩახრიალას სანახავად; მხოლოდ ისე კი, რომ ბიძა—ძალოს ვერ გაეგოთ.

გოგიამ აღუთქვა მათ თხოვნის შესრულება. გადასწყვიტეს: როცა სახლში მიივიწყებდნენ მის ჩახრიალაზე გაპარვას, ერთ დილით ადრე წასულიყვნენ ჩანჩქერის სანახავად და სადილად ისევ დაბრუნებულიყვნენ, რომ შინ აზრად არავინ მოსულიყო.

—

გავიდა რამდენიმე დღე. ბავშვები თითქოს მოჭკვიანდნენ და სათამაშოდ შორს აღარ მიდიოდნენ. ხშირად ქალაქიდან წამოღებულ საკითხავ წიგნებს კითხულობდნენ, ან ჭსატავდნენ; დილა-საღამოს აუზში ბანაობდნენ.

ერთ დილას, როცა დარწმუნდნენ, რომ მათ თვალს აღარავინ ადევნებს, ჩაის შემდეგ ჩხრიალაზე გაიპარნენ. ხევში რომ ჩავიდნენ, ურემს ან მგზავრს დაუწყეს ლოდინი, რადგან წყალი კარგა მოზრდილი მოდიოდა და შიგ გატოპვა სახიფათო იყო. ტევილად ილოდინეს ხევის ნაპირზე კარგა ხანი: ისე ადრე ჩახრიალაზე საბანაოდ არავინ დადიოდა, ურმებს კი სოფლელები გარიჟრაჟზე აატარებდნენ ხოლმე ტყეში.

ხევის პირას მოედანზე ვირები სძოვდნენ. მათ დანახვაზე გოგიას საიმედო აზრმა გაუელვა თავში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მოდი ერთი ვირი დავიჭიროთ, სამივენი ზედ შევსხდეთ, და ისე გავიდეთ წყალში!

—ჰატრონმა რომ გაიგოს, ხომ გაჯავრდება?—ეუბანობდა შალიკო.

—აგერ ის ნიშა ვირი ჩვენი ნათლიმამა დალაქისაა: რომ გაიგოს კიდეც, არ გაჯავრდება!

—იქიდან რიღათი გამოვიდეთ?—იკითხა ზურაბმა, რომელსაც ცოტა არ იყოს ხევში გატოჰვისა ეშინოდა, რადგან მღვრიე წყალი მას თვალებს უჭრელებდა.

—ამავე ვირით!—მიუგო გოგიამ.—ჩახრიალამდისაც ამ რაშით ვიმგზავროთ, და იქიდანაც!

თქმა და ასრულება ერთი იყო. გოგიამ, როგორც მათში უფროსმა და უფრო გამოცდილმა, ვირი ერთ ბექობთან მიაყენა და ზედ მოასტა. მისი დახმარებით შალიკო და ზურაბიც უკან შემოუსხდნენ.

—აბა, მაგრად მოიჭიდეთ ხელები, რომ წყალში არ ჩასცვივდეთ!—გააფრთხილა გოგიამ მამიდაშვილები, შემოჰკრა რაშს წკეპლა და გაემართა ხევისკენ.

ეველასაგან დაჩაგრულ ცხოველს თუმცა ძალიან ეზარებოდა მოედანზე ნამიან ბალახის თავის დანებება, მაგრამ წყეულ წკეპლის შიშით გაქირის გაწევა ვერ გაბედა, ერთი ღონივრად ამოიოხრა ადამიანთა უსამართლობაზე და შეტოჰა წყალში.

ბავშვები ხევს მშვიდობით გავიდნენ. ჩახრიალამდის კიდევ ორი ვერსი მანძილი იქნებოდა. ჰატარა მოგზაურებს ისე მოეწონათ ლურჯას იორღა, რომ დაბლა აღარ ჩამოხტნენ და იქამდის იმით იარეს.

ჩახრიალას ზემოდან ატეხილი ხშირი ტყე ისე კარავსავით გადაჰფარებია მას, თითქოს ბუნებას განგებ უზრუნვია—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობანავები მზემ არ შეაწუხოსო. ამის გამო კაცი, სანამ ზედ არ წაადგება, ვერც ჩანჩქერს შეამჩნევს და ვერც მორევს. შალიკო და ზურაბიც მხოლოდ მაშინ მიხვდნენ ჩანჩქერის მიახლოვებას, როდესაც მისმა მხუილმა მოიცვა მიდამო და დააყრუა ყველა სხვა ხმაურობა.

ბავშვები დიდხანს უმზერდნენ აღტაცებით ამ დიდებულ სანახაობას. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ჩახრიალაში არ ებანავნათ; მაინც გულმა აღარ გაუძლოთ, გაიხადეს ტანთ და, ერთმანეთის ხელის მოჭიდებით, მორევის ნაპირში შევიდნენ.

თუმცა მორევი მათ შიგნით არ ითრევდა, და ამ მხრით მათ გული დაიარხეინეს, მაგრამ წყალი ჯერ სეტყვასავით ციცვი იყო, რის გამო შიგ ჩაწოლა და ჭყუმპალაობა ვეღარ გაბედეს; მალე ჩაიცვეს ტანთ და, კმაყოფილნი ბუნების ლამაზი სურათის ნახვით, უკანვე დაბრუნდნენ.

ხევის გამოღმა კლდეზე ვიწრო ციცაბი ბილიკი იყო ასასვლელი. წყალში რომ გამოვიდნენ, ბავშვებმა ამ ბილიკზედაც ვირით მოინდომეს ასვლა. მორჩილმა ცხოველმა აქაც ვერ გაბედა ურჩობის გაწევა და შეუდგა ალმართს ხვნეშით... ბავშვებმა ვირის აყირავებულ ზურგზე თავი ვეღარ შეიმაგრეს, და ცურდნენ და ჰანტა-ჰუნტით ჩამოცვივდნენ ბილიკის მარჯვნივ, მაყვლისა და ასკილის ბარდებში.

განთავისუფლებულმა ვირმა ფრუტუნით და თოხარიკობით აირბინა ბილიკზე, შეუერთდა თავის ამხანაგებს და თავისი სიხარული ხმა-მაღლა ეროეინით იდღესასწაულა.

შერცხვენილი ბავშვები წამოცვივდნენ და, დაბეჟილ-დაკაწრულ ადგილებზე ხელის მოსმით, მაღლა ავიდნენ. ვირის ეროეინი გოგიამ დაცინვად მიიღო, გაგულისდა ამისთანა თავხედობით, მიეპარა მას უკანიდან და მაგრად წკეპლა გადაარტყა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოვლის მომთმენმა ცხოველმა აქაკი დაჭკარგა მოთმინება და გოგიას მარჯვედ საზარდულში*) ტეუბი წიხლი სდრუზა. გამწარებულმა გოგიამ ერთი კი შეჭვევირა და, შეკოსავით დატრიალებული, მიწაზე დაეცა.

შალიკო და ზურაბი ეცნენ წამოსაყენებლად, მაგრამ ტკივილისაგან იკი საშინლად იხლაკნებოდა, და ეტყობოდა, რომ ადგომის თავი არა ჰქონდა. ბავშვებმა უნახეს ნაწიხლარი და ელდა ეცათ: საზარდულზე ბატის კვერცხის ტოლად წითლად ამობურთოდა. შალიკო და ზურაბი ძალიან შეშინდნენ.

— წადი, ზურაბ, ხატულას უთხარი, რომ მოვიდეს და გოგიას წაუვანა გვიშველოს, თორემ ეტყობა ნაწიხლარი ძალიან აწუხებს და თავად ვერ შესძლებს სიარულს!

ამ სიტყვებზე გოგიამ თვალები გააxილა და თავი გაიქნია.

— მაშ შეგიძლია შენ თავად წამოxვიდე?—შეეკითxა შალიკო.

გოგიამ თანxმობის ნიშნად თავი დაxარა.

კარგა xანს იწვა გოგია ერთს ადგილზე მობღუნძული, შალიკო და ზურაბი დაღონებულნი გვერდზე მოსxდომოდნენ და xმას არ იღებდნენ.

გოგია უეცრად წამოxტა და ნაძალადევი სიცილით მიჭმართა მამიდაშვილებს:

— რას შეგეშინდათ, განა მართლა ძალიან მეტკინა! თქვენ გამოგცადეთ, აბა ერთი რას იტყვიან-მეთქი. წავიდეთ შინ, მxოლოდ დედას და მამას არაფერი უთxრათ, თორემ xომ იცით იმათი ამბავი: მოჭყვებიან ერთ აურზაურს!

თუმცა ძალიან ცდილობდა გოგია ტკივილის დამალვას, მაგრამ შეჭმუxვნილი სახე და კოჭლობა მის ტანჯვას შალი-

*) ბარკლისა და ფერდის შუა ადგილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსა და ზურაბისთვის აშკარად ხდიდა. მათ ძლიერ უკვირ-დათ გოგიას ასეთი გმირული მოთმენა და მისდამი მოკრძა-ლებითა და პატივისცემით გაიმსჭვალნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც გოგიას დაუცხრა და-სიებული ადგილი და ტკივილმაც მთლად გაუარა, ბავშვებ-მა სიცილით უამბეს ბიძა-ძალოს, როგორ იმოგზაურეს ვი-რით ჩახრიალაზე; გოგიას ხიფათის შესახებ კი ხმა არ დასძ-რეს. ხოლო შემდეგში, როცა შალიკო და ზურაბი ქალაქში თა-ვის ამხანაგებს ჩახრიალაზე მოგზაურობის ამბავს უამბობდ-ნენ, მათ მოთხრობაში გოგიას ვაჟკაცურ საქციელს პირვე-ლი ადგილი ეჭირა.

დ. ძეძამიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საუცხოო ვაშლი

სალვაზდა, ჯან-ღონით სავსე მუშა მიდიოდა ხშირ დაბურულ ტეის მახლობლად, თან მხიარულად მღეროდა.

მისი ტკბილი, წკრიალა ხმა გაისმოდა შორს, და მთელი ტეე სმენად გადაქცეულიყო.

ტეის შესავალში, მენახშირის ჰაწია სახლთან ვაქმა დაინახა ხის ქვეშ ლამაზი ქალი.

ის აღტაცებით ისმენდა ვაქის სიმღერას, მხოლოდ ეტეობოდა, რომ მომღერალს ვერ ჭხედავდა.

ვაქი მიუახლოვდა ქალს, რომელსაც ღაჰა-ღუჰით ცრემლები სცვიოდა.

— არ შეიძლება გავიგო, ლამაზო, რად სტირი?—შეეკითხა გაკვირვებული ვაქი.

— როგორ არ ვიტირო მე საბრალომ, როდესაც მესმის შენი ხმა, და შენი ხილვა კი არ შემიძლია. მე ხომ უსინათლო ვარ...

ამის გაგონებამ საშინლად ატკინა გული ვაქს.

— დავიჯერო, სულ არაფერს არ ხედავ?—შეეკითხა კვლავ ვაქი.

— არაფერს! საშინელი სიბნელე გამეფებულა ჩემს გარშემო. ჩემთვის სულ ღამეა. ამავე ღამეს ვატარებ ჩემს გულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, გეფიცები, რადაც უნდა დამიჯდეს, უსათუოდ განკურნავ, თუ გინდ მთელი ქვეყნის შემოვლა დამჭირდეს!

უსინათლო ქალი კი ემუდარებოდა ვაჟს:

— კეთილო ადამიანო, მიდიხარ სადღაც შორს, მე კი მტოვებ საბრალოს! ნუ მიდიხარ! შენი ხმა ისეთი ნაზია, რომ ვგრძნობ მისი პატრონიც კეთილი უნდა იყოს.

— არა, მე უნდა წავიდე და ვეძიო საშუალება შენი განკურნებისათვის. გარწმუნებ — მალე დავბრუნდები და შემდეგ არასოდეს აღარ დავშორდებით ერთმანეთს,— ანუგეშებდა მოსიყვარულე ვაჟი.

ემაწვილი კაცი გაუდგა გზას. შევიდა ტყეში. ხეები ნაზად შრიალებდნენ. იმედი აღეძრა ვაჟს და ხალისიანად მიმართა ხეებს:

— ეი, თქვენ, დაბერებულო უზარმაზარო ხეებო, არ მეტყვით, როგორ დავუბრუნო თვალთა-ხილვა საწყალ ქალს?

ხეებმა საიდუმლოდ დაიშრიალეს:

— ხომ არ ხუმრობ? ჩვენ არა ვიცით-რა.

დაღონებულმა ვაჟმა გაიარა ტყე. მის წინ გადიშალა ოქროს ყანა. თავთავი თავაზიანად უკრავდა თავს. ვაჟმაც მოუხადა ქუდი და ჰკითხა:

— საყვარელო თავთავო, სიმშილის წამალო და მშველელო, იქნებ ისიც მასწავლო, თუ რით ვუშველო უცხო, მშვენიერ უსინათლოს?

თავთავი მხოლოდ თავს იხრიდა და ოდნავ შრიალებდა:

— დაგვეხსენ, წადი, ჩვენ საიდან გვეცოდინება საშუალება!

ვაჟმა განაგრძო გზა. გზაზე დახვდა ცელქი, ვერცხლის ფერი ნაკადული, რომელიც ჩუხჩუხით მიმდინარეობდა. ვაჟი მას წინ გადაეღობა.

— მობუტბუტე ნაკადულო, მასწავლე, როგორ მოვარჩინო ქალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუნარად მიმდინარე ნაკადული თითქოს ეუბნებოდა—არ ვიცი.

ემაწვილი კაცი გაჯავრებული გადასტა ნაკადზე და აქვე მინდორში ბალახზე წამოწვა.

თვალწარმტაც სურათს წარმოადგენდა მინდორი. კაცი თვალს ვერ მოაშორებდა საუვარელ, ათასფერ ეკვილებით მოქარგულ მინდორს.

ვაჟი სიამოვნებით უმზერდა მშვენიერ სანახაობას.

ბუნებით გატაცებულმა ბოლოს-და შეამჩნია მოხუცებული, წელში მოხრილი დედაბერი, რომელსაც ხელში კალათი ეჭირა და მომკილ ეანაში დარჩენილ თავთავს აგროვებდა.

საშინელი სიცხე იდგა. დედაბერი მთლად გაწითლებულიო, ცალკე სიცხისა და ცალკე მუშაობის გამო; სულს ძლივს იბრუნებდა.

— საბრალო მოხუცებული, ვინ იცის, როგორ დაიღალა!— გაიფიქრა ვაჟმა და დედაბერს მიუახლოვდა.

—ბებია, ალბად დაიღალე. მე მოგეშველები თავთავის აკრეფაში.

—გეტეობა, შვილო, რომ გულკეთილი ხარ,—გაიცინა დედაბერმა.—ძაშ კარგი, მიშველე.

ვაჟი შეუდგა მხნედ მუშაობას; თან უამბობდა, რა იყო საგანი მისი მოგზაურობისა.

დედაბერი გულმოდგინედ უსმენდა ვაჟს და თან ალერსიანად უღიმოდა.

ამ საუბარში ვაჟმა კალათი უკვე გაუვსო დედაბერს და გაუწოდა. დედაბერმა მადლობა უძღვნა ვაჟს და აღუთქვა დახმარება ქალის გასაკურნავად.

უზომოდ გახარებული ვაჟი ეხვეოდა, ჰკოცნიდა მოხუცს, მადლობის ნიშნად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ბებია, ნუ თუ დამეხმარები, ნუ თუ ეშველება უბედურ ლამაზ ქალს და დაუბრუნდება მხედველობა?!

დედაბერმა ჩაიო ჯიბეში ხელი და ორი ვაშლი ამოიღო.

—აი, შვილო: გაძლევ ორ ვაშლს. დააკვირდი. ეს ერთი მის შემჭმელს მხოლოდ უბედურებას და სიკვდილს მოუტანს. ეს მეორე კი—ბედნიერებას და კარგად ყოფნას. წაიღე. მხოლოდ მიცემის დროს ეცადე არ შეგეშალოს ვაშლები.

—მაშ თუ ეგრეა, ბებიკო, მე მარტო ბედნიერების ვაშლს წავიღებ,—უთხრა ახალგაზდამ.

მოხუცმა ხელები გაასავსავა.

—არაფრის გულისთვის მათი ცალ-ცალკე მიცემა არ შეიძლება; მაშინ ვაშლი თავის ძალას დაკარგავს. წაიღე ორივე ვაშლი; მხოლოდ მნიშვნელობა თვითეულისა არ დაგავიწყდეს.

ვაჟმა სისარულით დაავლო ხელი ორივე ვაშლს, შემდეგ გადაეხვია მოხუცს და, უსაზღვროდ ბედნიერი, შეუდგა გზას.

გზაზე ვაშლებს თვალს არ აშორებდა, რომ მათი მნიშვნელობა არ აერია.

მალე მოდუდუნე ნაკადულს მიადგა და მარდად გადაასტა. შემდეგ უანაც გაირბინა და ატეხილ ტეეში შევიდა.

უმაწვილი ველარ ითმენდა: ადგილზე მისვლას ესწრაფებოდა. ფეხს მოუჩქარა, მაგრამ ამითაც არ დაკმაყოფილდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოჰკურცხლა.

მალე უბედურება თავს დაატუდა: ფეხი გაუცურდა, მიწაზე დაეცა, ვაშლები კი ხელიდან გაუშვა, და სხვა-და-სხვა ალაგას გაუგორდა.

დაბნეული უმაწვილი წამოდგა ზეზე და დაუწყო ვაშლებს ძებნა. ეძებდა ვაშლებს და თან მწარედ აცქერდებოდა, თითქოს უნდოდა ამოეკითხა მათი მნიშვნელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაშლებს შორის კი დიდი მსგავსება იყო: ერთი მეორეში არ ირჩეოდა.

შიშის ჟრუანტელმა დაუარა ტანში ვაჟს და სიმწარისაგან ცრემლები სცვიოდა.

— ოჰ, რა ვქენი მე რეგვენმა! საბრალო ქალის ბედნიერება ჩემ ხელთ იყო, მე კი ვერ შევინარჩუნე, ვერ გავაბედნიერე,—სტიროდა ვაჟი.

აკრეფილ ვაშლებს ერთი კიდევ გადახედა ვაჟმა, რათა გამოეცნო, რომელი განკურნავდა ქალს.

ფეხ-აკრეფით მიუახლოვდა ქალს, რომელმაც მისი ფეხის ხმა იცნო და ორივე ხელი მხიარულად გაუწოდა.

— ოჰ, როგორ მიხარიან! შენ, შენ ხარ, არა? დამიბრუნდი, რომ სამუდამოდ დარჩე ჩემთან. დავიჯერო—განკურნებაც მოგაქვს ჩემთვის?

შერცხვენილი ვაჟი მთლად თრთოდა და არ იცოდა—საიდან დაეწყო. როგორც იყო მოიკრიბა ძალა და გამოუტეხა:

— იცი—რა უბედურება მეწვია, საყვარელო ქალო?—და ვაჟმა უამბო თავგადასავალი, გამოსთქვა მწუხარება თავის დაუდევრობის გამო და საგონებელში ჩავარდა.

ქალი წენარი ღიმილით უსმენდა მოლაპარაკეს. როდესაც ვაჟმა დაასრულა ლაპარაკი, ქალი მიუბრუნდა და უთხრა:

— შენი სახე არ მინახავს, მაგრამ გულით დარწმუნებული ვარ, რომ შენ კეთილი ადამიანი ხარ. ის უფრო მარწმუნებს, რომ შენ მსურვალე მონაწილეობა მიიღე ჩემს უბედურებაში. ყველასაგან მივიწყებულს, ყველასთვის დაკარგულ უსინათლო ქალს შენ გამომიწოდე მეგობრულად ხელი და ჩემთვის იზრუნე. მე უზომოდ ბედნიერი ვარ იმით, რომ ვიცი—გიყვარვარ და ჩემთვის ზრუნავ. ამიტომ შენგან სიკვდილსაც სიამოვნებით მივიღებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ქალი სწრაფად დასწვდა ერთ ვაშლს და გაკბინჭა. ვაშლის ჭამა და მისი თვალების ახელა ერთი იყო.

— ღმერთო დიდებულო, სინათლე მიბრუნდება!—შეჰყვირა მხიარულად ქალმა.

შემდეგ დანარჩენიც მთლად შეჭამა. ახლა უფრო გარკვევით დაინახა ყველაფერი. სიხარულით ატირებული ქალი მივარდა ვაჟს და ყელზე მოეხვია.

— ახლა ყველაფერს ვხედავ, ყველაფერს ვარჩევ. შენც, შენც გხედავ, ჩემო კეთილო ანგელოზო!

ვაჟმა მეორე ვაშლი შორს გადისროლა და სრული კმაყოფილებით ქალს ნაზად ეალერსებოდა.

ერთი კვირის შემდეგ ახალგაზდებმა ქორწილი გადიხადეს. ცოლ-ქმარი ბედნიერად ცხოვრობდნენ ტეის განაპირას მენახშირეს სახლში.

ალ. სარალიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

სუმგული

ს შემთხვევა, თქვენ რომ უნდა გიამბოთ, შვიდასი წლის წინად მოხდა. ერთი ოჯახის მამა აზიაში, ქალაქ იერუსალიმში, საომრად გაემგზავრა.

—ნუ სტირით!—უთხრა მან თვალზე ცრემლ-მორეულ ცოლს და ჰატარა შვილს:—ჰირველად არ არის, რომ საომრად მივდივარ და ეოველთვის უვნებელი დავბრუნებულვარ. ამ ომიდანაც მშვიდობით დავბრუნდები.

მართლაც რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდა, მაგრამ გამხდარი და დაკოჭლებული. ოჯახი მაინც მეტად მოხარული იეო, რომ იგი ცოცხალი გადარჩა, მაშინ როდესაც სხვა მეომრები ომში დაიხოცნენ.

—მშვენიერი საჩუქარი მოგიტანე,—უთხრა მამამ თავის შვილს.

მან სამგზავრო ტომარაში ძებნა დაიწეო და ხახვის თავი იპოვა.

—გემრიელია?—ჰკითხა ბავშვმა მამას.—იქნება რამე წამალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

—არც ერთია, არც მეორე,—მიუგო მამამ:—მშვენიერი ევავილია. ხარობს იმ ქვეყანაში, სადაც ოდესმე იესო ქრისტე სცხოვრობდა.

ბავშვმა თესლს გადახედა და სთქვა:

რა მწყინს, რომ გამხმარა,—ნეტა ამ ევავილის გადმოტანა ჰირდაჰირ იერუსალიმიდან შეიძლებოდეს!

—ნუ სწუხარ!—დააიმედა მამამ შვილი:—იმ ქვეყანაშიაც, სადაც ეს ევავილი იზრდება, ამის თესლს ნახევარი წელიწადი ხმელ მიწაში სძინავს. მზე ისე ახმობს მიწას, რომ იგი ქვასავით მაგრდება. ევავილი კი ნიადაგში უვნებელი რჩება. თესლი კანშია გახვეული. აი, თვითონ დაინახავ, რომ ეს თესლი მშვენიერ ევავილს გამოიღებს.

მამამ უბრძანა შვილს საევავილისათვის ქოთანი მოეტანა, ქოთნის ძირში ნახვრეტი ნაფოტით დაეფარა, ზევით ფხვიერი, სილა-გარეული ბაღის მიწა დაეყარა და თესლი დაერგო...

გარედ ქარი გრიალებს. სახურავებიდან ეინულებია ჩამოკიდებული; არემარე თოვლს დაუფარავს. ბავშვისაგან დარგული თესლი გახურებულ ბუხართან დგას, და ეოველ დღე თბილი წყლით რწყავენ. რამდენიმე დღის შემდეგ მიწიდან რაღაც მწვანე გამოჩნდა. ნაზმა ღერომ ზევით ამოატანა, ფოთოლიც გაიშალა. მას მეორე, მესამე მოჰყვა. ბოლოს დიდი ღერო გაიზარდა, მრავალი ფოთოლი გაიკეთა და თავი მთელი მუჯა ევავილებით დაიმშვენა. უმნიშვნელო თესლისაგან მშვენიერი სუმბული გაიზარდა. რა მშვენიერი ფერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებში. ხანდისხან ერთი სუმბულის თესლში ას მანეთამ-დის იძლეოდნენ და ამ მცენარის მეოხებით მრავალი ღარიბი მებაღე გამდიდრდა.

დ. ეიფეანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შარადა

(წარმოდგენილი დ. ელიოზიშვილის მიერ)

პირველი ასო ანბანის
აიღეთ,—გამოგვადგება;
მეორეს ნახავთ მარანში:
სშირად შიგ წყალი იდგება.

მისი სახელის მეორე
მარცვალი მას წინ მიუსვით,
თანხმობის ნიშნად იმერეთს
რომელი სიტყვაც მოგესმით.

სამივე ერთად გამოვა
სახელი პოეტისაო,
რომელიც იყო ერთგული
ქომაგი ჩვენ ქვეყნისაო.

ამოცანა

(წარმოდგენილი ა. ალშიბაიას მიერ)

კვირა დილით ექვს საათზე ერთი ჭიანჭველა იწყებს ხეზე ასვლას. დღით, ესე იგი დილის ექვსი საათიდან საღამოს ექვს საათამდე. ის ადის ხუთ საჟენს ზევით, და ღამით, ესე იგი საღამოს ექვს საათიდან დილის ექვს საარამდე ის ჩამოდის ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით ორ საქენს. რა დღეს და რომელ საათზე ავა ჭიანჭველა ხის წვერამდე, თუ ხის სიმაღლე უდრის ცხრა საქენს?

გამოცანები

(ხალხური. შეკრებილი ცალფეხა გიორგი ლომთათიძის მიერ)

1

ზეციდან გადმოკიდული
ერთი ქოთანი ფუნჩხული.

2

იგი კაცი რა კაცია,
ათი კაბა რომ აცვია.

3

გავაგდე მარცვალი,
გაიქცა ბაწარი,
გამოისხა გოდორი.

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

რებუსი

(წარმოდგენილი დ. ელიოზიშვილის მიერ)



რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომცემელი ფ. პ. ი. თუმანიშვილი.

3/34

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეცამეტე. **„ნაკადული“** წელიწადი მეცამეტე.

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯელ

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მან.—იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი **6** მანნახევარ წლით—**3** მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3** მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს, თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

თბილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. №8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიძესთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ტ სამსონ ყაზაიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მეთოდე კაკაბაძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან ტნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვოში**—გიორგი ნაკაშიძესთან. ოზურგეთში—სალომე ხუნდაძესთან, ლანჩხუთში მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **ტ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**